

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

\_\_\_\_\_ აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, პ.რურუას ქ.№12-ის მიმდებარედ არსებული 1589.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.25.11.408) 137.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, პ. რურუას ქ.№12-ის მიმდებარედ არსებული 1589.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.25.11.408) 137,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ელთ ბილდინგი“-ს (ს/ნ 445471285 ) სასარგებლოდ 05 წლის ვადით სერვიტუტის უფლებით დატვირთვის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სერვიტუტის უფლებით სარგებლობის საფასური განისაზღვროს წელიწადში 3200 (სამი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება შპს „ელთ ბილდინგი“-ს (ს/ნ 445471285 ) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს იმ პირობით, რომ იგი არ მოახდენს სერვიტუტის უფლებით დატვირთული უძრავი ქონების შემოსაზღვრას და არ შეზღუდავს მასზე, როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე სხვისი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, პ. რურუას ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 1589.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.25.11.408) 137.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებებით (N10/1421133717-14, 13.05.2021 წ. და N10/1421161694-14, 10.06.2021) მომართა შპს „ელთ ბილდინგი“-ს მინდობილმა პირმა ვიტალი ხალვაშმა, რომლითაც განმარტავს, რომ კომპანიას ქ. ბათუმში, პ. რურუას ქ. N10-ში საკუთრებაში გააჩნია 2000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.11.405) რომელზედაც მზადდება არქიტექტურული პროექტი მრავალფინქიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით. განმცხადებელის განმარტებით ხსენებულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისასვლელი გზა, რაც აუცილებელი მოთხოვნაა პროექტის დამტკიცების და ნებართვის გაცემისათვის. რის გამოც ითხოვს და თანახმაა სასყიდლიანი სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პ. რურუას №12-ის მიმდებარედ არსებული 1589.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.25.11.408) 137.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „ელთ ბილდინგი“-ს (ს/ნ 445471285) განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში პ. რურუას ქ. 10-ში მდებარე 2000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.25.11.405) მრავალფინქიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით 05 წლის ვადით, სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პ. რურუას ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 1589.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.25.11.408) 137,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 2300 ლარის ოდენობით. აუდიტის დასკვნა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, დასკვნა №004900421, 13.07. 2021წ. უძრავი ქონება შპს „ელთ ბილდინგი“-ს (ს/ნ 445471285) სასარგებლოდ სერვიტუტის

უფლებით დაიტვირთოს იმ პირობით, რომ იგი არ მოახდენს სერვიტუტის უფლებით დატვირთული უძრავი ქონების შემოსაზღვრას და არ შეზღუდავს მასზე, როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე სხვისი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სერვიტუტის უფლებით დატვირთვა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 3200 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი**

**დავით კოპინაძე**